ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №42

(გამარტივებული შესყიდვა მთავრობის 2014 წლის 9 ოქტომბრის N1837 განკარგულების, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის "დ" ქვეპუნქტის და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის №1-1/349 ბრძანებით შექმნილი დროებითი საკონკურსო კომისიის ოქმის საფუძველზე)

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2015 წლის 26 იანვარს ქ. თბილისში

შემსყიდველი: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის საფინანსო, სახელმწიფო შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსის ნინო მურჯიკნელის სახით.

მისამართი: ქ. თბილისი, ჭანტურიას ქუჩა №12, ტელეფონი 299-10-76

საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22, ა/ა №200122900, ს/კ 203840433

მიმწოდებელი: შპს „დისტანციური ზონდირებისა და გეოინფორმაციული სისტემების საკონსულტაციო ცენტრი გეოგრაფიკი"

საიდენტიფიკაციო კოდი: 204920309

მისამართი: ქ.თბილისი, გამსახურდიას გამზირი N27, **ტელ: 238-25-42, 238-19-48;**

ხელმძღვანელი: დირექტორი გიორგი გოცირიძე

საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი" ბანკი ცენტრალური ფილიალი; ბანკის კოდი TBCBGE22; ანგარიშის №GE55TB0600000017467328.

ერთი მხრივ – **შემსყიდველი**, და მეორე მხრივ – **მიმწოდებელი**, ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება“–ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7 „ტექნიკური დავალება“ – საკონკურსო განცხადების ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული „მარკეტინგული და იურიდიული კონსულტაციების ხარჯი (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო)" (24 01 01 04) ასიგნებების ფარგლებში ხერთვისი-ვარძია-ოლოდას კულტურული ლანდშაფტის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა ტექნიკური დავალების (დანართი №1) და სამუშაოთა გეგმა-გრაფიკის (დანართი №2) შესაბამისად **(CPV-71400000).**

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულებაა: **485 000,00 ლარი.**

ოთხასოთხმოცდახუთი ათასი ლარი და 00 თეთრი

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

3.2 ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს, დაკავშირებულს მომსახურების გაწევასთან.

4. მხარეთა უფლება–მოვალეობები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) შემსყიდველს გაუწიოს ხერთვისი-ვარძია-ოლოდას კულტურული ლანდშაფტის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება ტექნიკური დავალების (დანართი №1) და სამუშაოთა გეგმა-გრაფიკის (დანართი №2) შესაბამისად;

ბ) სამუშაოები დააყრდნოს ინფორმაციას და რეკომენდაციებს აღნიშნულ არეალში კულტურული მემკვიდრეობის რესურსების და მათი გამოყენების შესახებ, მათ შორის ტერიტორიის ისტორიულ-კულტურულ საყრდენ გეგმას და/ან კონსერვაციის გეგმას (გეგმებს), ასეთის არსებობის შემთხვევაში.

გ) მომსახურება განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში.

4.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) შემსყიდველს მოსთხოვოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

4.3 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება;

4.4 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა)მიმწოდებლისგან მოითხოვოს მომსახურების გაწევა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებში;

ბ)შეამოწმოს მომსახურების გაწევის ხარისხი, მომსახურების გაწევის მიმდინარეობა;

გ)მონიტორინგის შედეგად მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მისცეს მას მითითება ვალდებულებების დარღვევის გამოსწორების შესახებ ან შეწყვიტოს (არ განახორციელოს) მიმწოდებლის დაფინანსება.

5. ხარისხი

5.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს გაწეული მომსახურების ხარისხზე, ხოლო შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს გაწეული მომსახურების ხარისხის შემოწმება.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს გაწეული მომსახურების ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს: სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსს დავით გიგინეიშვილს, რომელიც უფლებამოსილია ჩაატაროს ხელშეკრულების პირობების შესრულების ინსპექტირება.

6.2 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის დადასტურების მიზნით, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

6.3 მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მხრიდან მოთხოვნილი გაწეული მომსახურების დადასტურების და ანაზღაურების მიღების მიზნით შემსყიდველს წარმოუდგინოს შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცია. ანგარიშსწორების სავალდებულო წინაპირობა მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად არის ანგარიშ-ფაქტურა (თუ არ არის დღგ-ს გადამხდელი წარმოადგინოს ცნობა).

6.5 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსს დავით გიგინეიშვილს.

7. ანგარიშსწორების წესი

7.2 მომსახურების ღირებულების გადახდა მოხდება ეტაპობრივად შემდეგი წესით:

ა) **160000** (ასსამოცი ათასი) ლარი, ტექნიკური დავალებით (დანართი №1) განსაზღვრული ეტაპი 1-ის დასრულებიდან, შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან და ანგარიშფაქტურის გამოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

ბ) **25000** (ოცდახუთი ათასი) ლარი, ტექნიკური დავალებით (დანართი №1) განსაზღვრული ეტაპი 2-ის დასრულებიდან, შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან და ანგარიშფაქტურის გამოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

გ) **200000** (ორასი ათასი) ლარი, ტექნიკური დავალებით (დანართი №1) განსაზღვრული ეტაპი 3-ის დასრულებიდან, შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან და ანგარიშფაქტურის გამოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

დ) **100000** (ასი ათასი) ლარი, ტექნიკური დავალებით (დანართი №1) განსაზღვრული ეტაპი 4-ის დასრულებიდან, შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან და ანგარიშფაქტურის გამოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7.3 ანგარიშსწორების ვალუტა: ლარი;

7.4 ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო.

8. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

8.1 მომსახურების გაწევის ადგილი: ტექნიკური დავალების (დანართი №1) შესაბამისად.

8.2 მომსახურება უნდა განხორციელდეს წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან **9 თვეში.**

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **10 თვის განმავლობაში.**

10. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

10.1 მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულებისათვის ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

10.2 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით.

10.3 მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

10.4 არაჯეროვნად შესრულებას წარმოადგენს უხარისხო მომსახურების გაწევა. ამასთან, არაჯეროვნად გაწეულად მიიჩნევა ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობა, რომელიც ნაკისრი აქვს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებით, გარდა 10.5 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა.

10.5 მიმწოდებლის მიერ დაგვიანებით შესრულებას წარმოადგენს მომსახურების გაწევის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ვადის დარღვევა, რისთვისაც შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად გაუწეველი მომსახურების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

10.6 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.7 სანქციების დაწესება არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს–მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული მხარეთა ნების გამოვლენასთან, შეცდომებსა და დაუდევრობასთან და გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი ან/და გამოწვეულია დაუძლეველი ძალის დადგომით, ამასთან აღნიშნული გარემოება მხარეთა მიერ შესაძლოა განხილულ იქნას როგორც ფორს–მაჟორი მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული გარემოებების დადგომა უშუალოდ უშლის ხელს მხარეთა მიერ ვალდებულებების შესრულებას.

11.3 ხელშეკრულების მიზნებისათის „ფორს–მაჟორად" მიჩნეული შეიძლება იყოს საომარი ან საგანგებო მდგომარეობა, სტიქიური უბედურება, ეპიდემია, კარანტინი, საქართველოს მთავრობის მიერ გამოცხადებული მორატორიუმი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება და სხვა.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების გზით და ურთიერთშეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა საკითხების ირგვლივ.

12.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს დავის გადაწყვეტის მიზნით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

13. სხვა პირობები

13.1 ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით და წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

13.2 ხელშეკრულების მოქმედება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს, ერთი ეგზემპლარი შემსყიდველს).

14. მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველის მხრიდან	მიმწოდებლის მხრიდან
საფინანსო, სახელმწიფო შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი	შპს „დისტანციური ზონდირებისა და გეოინფორმაციული სისტემების საკონსულტაციო ცენტრი გეოგრაფიკი" დირექტორი
ნინო მურჯიკნელი	გიორგი გოცირიძე

18 July, 2014

Delivery-Acceptance Statement

We, the undersigned, André Daniel Gribi, Head of Permanent Establishment of Kohl & Partner (Schweiz) AG in Tbilisi, Georgia and George Gotsiridze, Director, GIS and RS Consulting Center GeoGraphic Ltd. hereby confirm that in accordance with the Contract for Consultants' Services Lump-Sum dated June 4, 2014 GIS and RS Consulting Center GeoGraphic Ltd. has delivered to Permanent Establishment of Kohl & Partner (Schweiz) AG in Tbilisi, Georgia and Permanent Establishment of Kohl & Partner (Schweiz) AG in Tbilisi, Georgia has accepted the interim report "Technical Feasibility" in compliance with the said Contract, price of which made up USD 19500 (nineteen thousand five hundred) including VAT (18%).

Delivery-Acceptance Statement is made in two copies. Both copies are identical and have the same legal force.

For Permanent Establishment of Kohl & Partner (Schweiz) AG in Tbilisi, Georgia
Head
André Daniel Gribi

For GIS and RS Consulting Center GeoGraphic Ltd.
Director
George Gotsiridze

18 ივლისი, 2014 წელი

მიღება-ჩაბარების აქტი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ანდრე დანიელ გრიბი, საქართველოში Kohl & Partner (Schweiz) AG-ის მუდმივმომქმედი წარმომადგენლობის უფროსი და გიორგი გოცირიძე, შპს დისტანციური ზონდირებისა და გეოინფორმაციული სისტემების საკონსულტაციო ცენტრი „გეოგრაფიკის“ დირექტორი, ვადასტურებთ, რომ 2014 წლის 4 ივნისს ერთიან თანხაზე გაფორმებული საკონსულტაციო ხელშეკრულების თანახმად, შპს დისტანციური ზონდირებისა და გეოინფორმაციული სისტემების საკონსულტაციო ცენტრმა „გეოგრაფიკმა“ ჩააბარა საქართველოში Kohl & Partner (Schweiz) AG-ის მუდმივმომქმედ წარმომადგენლობას და საქართველოში Kohl & Partner (Schweiz) AG-ის მუდმივმომქმედმა წარმომადგენლობამ ჩაიბარა შუალედური ანგარიში "ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება" ზემოაღნიშნულ ხელშეკრულების შესაბამისად, რომლის ღირებულებამაც შეადგინა 32500 (ოცდათორმეტი ათას ხუთასი) აშშ დოლარი, დღგ-ს (18%) ჩათვლით.

მიღება-ჩაბარების აქტი შედგენილია ორ ეგზემპლიარად. ორივე ეგზემპლიარი იდენტურია და აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

საქართველოში Kohl & Partner (Schweiz) AG-ის მუდმივმომქმედი
წარმომადგენლობის უფროსი ანდრე დანიელ გრიბი

შპს დისტანციური ზონდირებისა და გეოინფორმაციული
სისტემების საკონსულტაციო ცენტრი „გეოგრაფიკის“
დირექტორი გიორგი გოცირიძე

ამონაწერის შეესაბამება ორიგინალს

PRIVATE PRODUCER "ZURA APKHAZAVA" GEORGIA 01025008060 TRANSLATION FIRM

სანოტარო აქტი

ორიათას თხუთმეტი წლის ცამეტ მარტს, მე, ქეთევან ხოტივარი, ქ.თბილისის ნოტარიუსი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: თბილისი, ა.კალანდაძის ქ.№7, ვადასტურებ თარჯიმნის ზურაბ აფხაზავას (საქართველოს მოქალაქე, დაბ. 20.09.1956წ. თბილისში, მცხ. ქ. თბილისი, საირმის ქუჩა, კორპ. 5, ბინა 35, პირადი №01025008060, აი-დი ბარათი №12IC77398 გაცემული 19.02.2013წ. იუსტიციის სამინისტროს მიერ, მოწმობა №255, გაც. ი. ჭავჭავაძის სახ. თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სინქრონული თარგმანის უმაღლესი კურსების მიერ, 1987 წელს) ხელმოწერის ნამდვილობას. მე, ნოტარიუსმა, გავაფრთხილე თარჯიმანი, რომ იგი პასუხს აგებს თარგმანის სისწორეზე. მან დამიდასტურა, რომ ჯეროვნად იცის ინგლისური და რუსული ენა და უზრუნველყოფს თარგმანის სისწორეს.

გადახდილია 2 (ორი) ლარი სანოტარო მომსახურების საზღაური თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" (29.12.2011 წელი, დადგენილება №507) დღგ 0,36 ლარი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად, და 2 (ორი) ლარი ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის – მუხლი 39, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ (29.12.2011 წელი, დადგენილება №507)

ნოტარიუსი: ქ. ხოტივარი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N150241484
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	13.03.2015 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება**
ნოტარიუსი	**ქეთევან ხოტივარი**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**ქ. თბილისი, კალანდაძის ქ. 7**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	237-30-35
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	42225703127715

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

13 August, 2014

Delivery-Acceptance Statement

We, the undersigned, André Daniel Gribi, Head of Permanent Establishment of Kohl & Partner (Schweiz) AG in Tbilisi, Georgia and George Gotsiridze, Director, GIS and RS Consulting Center GeoGraphic Ltd. hereby confirm that in accordance with the Contract for Consultants' Services Lump-Sum dated June 4, 2014 GIS and RS Consulting Center GeoGraphic Ltd. has delivered to Permanent Establishment of Kohl & Partner (Schweiz) AG in Tbilisi, Georgia and Permanent Establishment of Kohl & Partner (Schweiz) AG in Tbilisi, Georgia has accepted the final report "Technical Feasibility" in compliance with the said Contract, price of which made up USD 32500 (thirty-two thousand five hundred) including VAT (18%).

Delivery-Acceptance Statement is made in two copies. Both copies are identical and have the same legal force.

For Permanent Establishment of Kohl & Partner (Schweiz) AG in Tbilisi, Georgia

Head André Daniel Gribi

For GIS and RS Consulting Center GeoGraphic Ltd.

Director George Gotsiridze

13 აგვისტო, 2014 წელი

მიღება-ჩაბარების აქტი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ანდრე დანიელ გრიბი, საქართველოში Kohl & Partner (Schweiz) AG-ის მუდმივმომქმედი წარმომადგენლობის უფროსი და გიორგი გოცირიძე, შპს დისტანციური ზონდირებისა და გეოინფორმაციული სისტემების საკონსულტაციო ცენტრი „გეოგრაფიკის“ დირექტორი, ვადასტურებთ, რომ 2014 წლის 4 ივნისს ერთიან თანხაზე გაფორმებული საკონსულტაციო ხელშეკრულების თანახმად, შპს დისტანციური ზონდირებისა და გეოინფორმაციული სისტემების საკონსულტაციო ცენტრმა „გეოგრაფიკმა“ ჩააბარა საქართველოში Kohl & Partner (Schweiz) AG-ის მუდმივმომქმედ წარმომადგენლობას და საქართველოში Kohl & Partner (Schweiz) AG-ის მუდმივმომქმედმა წარმომადგენლობამ ჩაიბარა საბოლოო ანგარიში “ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება” ზემოაღნიშნულ ხელშეკრულების შესაბამისად, რომლის ღირებულებამაც შეადგინა 32500 (ოცდათორმეტი ათას ხუთასი) აშშ დოლარი, დღგ-ს (18%) ჩათვლით.

მიღება-ჩაბარების აქტი შედგენილია ორ ეგზემპლიარად. ორივე ეგზემპლიარი იდენტურია და აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

საქართველოში Kohl & Partner (Schweiz) AG-ის მუდმივმომქმედი
წარმომადგენლობის უფროსი ანდრე დანიელ გრიბი

შპს დისტანციური ზონდირებისა და გეოინფორმაციული
სისტემების საკონსულტაციო ცენტრი „გეოგრაფიკის“
დირექტორი გიორგი გოცირიძე

PRIVATE TRANSLATION FIRM